 როგორც ისინი, როცა თვის მსხვერპლსა
 დასცემენ ხანჯალს უმანკოს გულში!—
 ტკბილ არს ის წუთი, საშინელიცა!

(აღებს ზანდუქა)

ეპა, შახედეთ ჩემს ნეტარებას!
 (ზანდუქში ჰყრის ფულებს და
 ესაუბრება)

ჩაბრძანდით, კმარა თქეენი წანწალი
 ქვეყანაზედა, სადაც ჰმონებდით
 და მსახურებდით საჭიროებას,
 ხან კაცთა უინთა, დაუთვალავათა...
 აქ განისვენეთ ძილით ძალისა
 და მყუდროების, როგორც ღმერთებსა
 სძინავთ სამყაროს, ცის სილრმეშია!...

დღეს მსურს მეჯლიში, ქეიფი, ლხინი:
 ავანთეპ სანთლებს ზანდუკებს წინა,
 გაეაღებ ყევლას, დაესდგები შუა
 და გარდავხელავ ბრწყინვალე ზენებს.
 (ანთებს სანთლებს და აღებს
 ზანდუკებს)

დღეს ვმეფობ!.. ვიშ, ვიშ! ამ ელვარებას!
 მემორჩილ ება ჩემი სამეფო!
 მასშია ჩემი ბეღნიერება,
 ჩემი პატივი, ჩემი დიდება!
 მე ვმეფობ... ბაგრამ ჩემს შემდევ ვინდა
 ჩაიგდებს ხელში უფლებას მისას?
 ჩემი მემკვიდრე?!

ფინტია, გიჟი?..
 ის უფუნური ყმაწეილებშია
 და დარღმიმანდი ლოთი-ფოთებში?..
 რაჟი სულს დაელევ, შემოვა აქა,
 ამ მშეიდობანს, მყუდრო ადგილას,
 თან მოჰყებიან სასახლიდანა,
 პირ-მოთნები, კარისა კაცი,
 უზომოდ ხარბნი და ჩემსა სხეულს
 გასაღებებსა ამოაცლიან
 ნამალეეადა და გააღებენ
 ღილის ხარხარით ამ ზანდუკებსა...
 მაშინ მოსქედება საუნჯე ჩემი
 და იწყებს დენას ფარჩის ჯიბიდგან,
 გახერეტილიდა... ახ, შეიღო ჩემი
 წმინდა ჭურჭელთა მაშინ დაამტკრევს,

დაათრუნეინებს; სამეფო ზეთით
 ტალას გააძლობს, გააბნევს სარჩოს!
 მაგრამ ეკითხოთ: რომლის უფლებით?
 ნუ თუ მუქეთად მე ესე ყოველი
 მხედა, მომცემა? ანუ ხუმრობით,
 როგორც ყომარბაზს, შემიძენია,
 მარტო კამათლის გაფორებითა
 და ისე ჯიბე გამიტენია?..
 ეინ უწყის, რამდენს მოთმინებასა
 მე თავი ჩემი დაეატანჯეინე,
 რამდენი კინი, სურეილი, ნდომა
 მე ჩემსა გულსა დავათმენინე.
 ეინ უწყის, რომე ესე საუნჯე
 რამდენს ფიქრებად, რაოდენს ზრუნვად
 ღამე ნატეხსა მე დამჯდომია?
 იქნება ფიქრობს წემი მემკვიდრე,
 რომ გული უკვე დამხაესებია
 და ალარც ნდომა, ალარც სურეილი,
 უერთნობელსავით, ალარ მქონია?
 ან ჩემი შეიძლი თუ ფიქრობს ასე,
 რომ სეინიდისი გამუივებია?
 და სეინიდისსა,—შემაწუხებელს,
 ეს ჩემი გული არ დაუღრძნია?..
 იმ სეინიდისსა, ცუდს მესაუბრეს,
 ეით რომ მოვალეს, ბრიყეს და უჯიშოს,
 ეით მოუწეველს, უდროო სტუმარს,
 გამგელებულსა, უწყალო მხეცსა,

ოლ-ქაჯსა, დეესა, დიღ-მჟყალოვანსა,
 ჯოჯოხეთიდან გამოგზაენილსა,
 რომლისაგანაც კი კრთება მთვარე,
 საფლავნი შფრასევნ და მკედრებს სდევნიან!?
 წუ თუ მე ეიყავ გაქვაცებული,
 ამ სეინიდისის განშორებული?..
 არა, ძმიავ! ჯერ შეიძინე
 ამგეარის ტანჯვით ოქრო, საუნჯე
 და მაშინ ენახოთ, თუ რომ გაპბედავ,
 ისე უწყალოდ, მისს დაბნევასა,
 რაც რომ სისხლითა შეგვიძენია!
 ახ, რომ შემეძლოს ჩემის სარდაფის
 დაცვა ულირსთა მშეერაეთაგანა,
 ახ, რომ შემეძლოს საიქიოდან
 მოსელა, იდუმალ, ჩრდილად ჯაშუშის,
 ჯლომა ყუთებზედ, დაცვა საუნჯის
 ცოცხალთაგანა, როგორც რომ ეხლა!..



წარმოდგენა მესამე

(სასახლეში)

ა ლ ბ ე რ, მ თ ა ე ა რ ი.

აღბერ

 ემო ხელმწიფე, ორწმუნეთ ჩემი.
დიდი ხანია, რაც ვითმენ სირცვილს
სილარიბისას, დამცირებისას.
გაჭირება რომ არ დამდგომოდა,
ვერ გაიგებდით ჩემს საჩიერსა.

მთავარი

მჯერა და მრწამს მე, პატიოსანო
გმირებთაგანში... ამგვარი კაცი,
როგორც რომ თქვენა, თეისსა შშობელსა
არეის დაასმენს, არსად უჩიელებს,
გაუჭირებლად... დამშეიდლით თქვენა,
მე მამა თქვენსა, განსაკუთრებით,
საიდუმლოდა, შეგონებითა,
ეაკისერებინებ თქვენს პატრონობას.
აქ მოეელი მას. კაი ხანია,
ალარ მინახაეს. ის ჰმეგობრობდა

დიღად პაპა-ჩემს. მე მახსოვეს, როცა
პატარა ერთავ, შემსომლა ხოლმე
თავის ცეკვზედა და დამხურავედა
თავის მუზარალს, როგორც რომ ზარსა.
(ფანჯარაში იყურება)
ნერავ ეინ არის? ის ხომ არ არის?

ალბერ

დიალ, ბატონი—სწორედ ის გახლაესთ.

მთაგარი

მაშ შეღი, მალე, მაგ ოთახშია,
მე დაგიძახებ.

(ალბერი გადის, ბარონი
შემოდის)

შშეიდობა შენდა,
გმირებთა გმირო! მოხარული ვარ,
რომ გხედავ ასე მხნედ და მამაცად.

ბარონი

ბედნიერი ვარ, ჩემო ხელმწიფევ,
რომ შეესძლ, თქეენსა ბრძანებაზედა,
თქვენთან ხლება მე.

მთაგარი

კაი ხანია,
არ მინახაეხართ. ხომ გახსოვეარ მე?

ბართი

მე, ხელმწიფეო? ასე მგონია,
გუშინ იყო-თქო... როგორი ანუ
ბაქშეო იყავით... განსეენებული
დიდი მთავარი ბრძანებდა ხოლმე:
„ჩემო ფილიპე (ასე მეტახდა)...
რას იტყო შენა?—ოცს წელს უკანა
ჩეებ გამოაეჩნდებით ამ ბალანასთან,—
(ვითომ თქვენთანა),—სულელებადო!..

მთავარი

მაშ განეახლოთ კულავ ნაცნობობა.
რად დაივიწყეთ ჩემი სასახლე?

ბართი

მოეხუცი, მეფეე! მე სასახლეში
რას გაეარიგებ? თქეენ ხართ ყმაწეილი,
თქეენ გიხარიანთ: ჯირითი, ცეკვა
და მეჯლიშები... მე კი ამისთვის
აღარ ვარგივარ. და თუ ღმრთის მადლით
ომი გაგეიჩნდა, მაშინ კი მზა ვარ
ხენეშით და კენესით მოვაჯდე ცხენსა...
იმდენი ლონე კიდევ მექნება,
რომ თქვენთვინ ხრმალი კულავ მოეიქნიო!

მთავარი

ჩეენ ეიცით შენი ერთგულებაი:
ჰაპა-ჩემს ჰყაედი შენ მევობრადა,

მამა-ჩემი შენ პატივსა გცემდა
და მე ყოველთვის გრაცელი ერთგულად
ჩეენის ტახტისა, მამაც გმირადა...
მოღი აქ, დაესხდეთ. შეილები არ გყაეს?

ბართვი

გახლავსთ, ბატინო, ერთი ბალანა.

მთავარი

რატომ არ ეხედავ ჩემს სასახლეში?
თქვენ თუ მოგწყინდათ ჩეენთან ყოფნაი,
იმას ხომ მაინც შეჰვერის ხლება
მისი მთავრისა...

ბართვი

არა, ბატონო,
ჩემს შეილს არ უყვარს გარედ გამოსელა,
ლხინი, შექსევა... რაღაც დახშული
ზნისა რამ არის, სულ მთლად მხეცურის
ხასიათისა—ტყეში და ლრეში
დაწერება ირემითა.

მთავარი

არ ეარგა, სწორედ, გარეკანობა,
მაგრამ შევაჩევეთ მხიარულებას,
მეჯლიშს, ჯირითსა... გამომიგზავნეთ
და საჩჩოც კარგი და ლირსეული
მას დაუნიშნეთ... რას მოიწყინეთ
და იღრუბლებით?—თუ დაილალეთ?

ბართინი

არა, ბატონი, არ დაედალულვარ,
მაგრამ შეეძრწუნდი... მე ვერ ვბედავდი
თქენთან გამხელას ჩემის შეილისა
ყოფა-ქცევისა და მაიძულეთ.
ის — მოგახსნით — ლირი არ არის
თქენთან ხლებისა და ალარც თქენის
ყურადღებისა და მოწყალებისა:
საუბედუროდ, ის დროს ატარებს
გარუენილებაში, ბოროტებაში!..

მთავარი

უთუოდ მიტომ, რომ მარტო არის...
მარტოკაობა, უსაქმოობა
ჰლუპაეს ყმაწეოლს კაცს... უეჭველადა...
გამომიგზანეთ და დაფაიწყებ
გარეგნობისა ჩვეულებათა.

ბართინი

ჩემო ხელმწიფევე, მომიტევეთ მე,
რომ დათანხმება არ შემიძლიან.

მთავარი

რა მიზეზია?

ბართინი

გთხოვთ დამითხოვოთ...

მთავარი

გიბრძანებ მითხრა, ეხლავ ამიხსნა,
მიზეზი შენის უარყოფისა.

ბართა

შეილზედ გახლავარ განრისხებული.

მთავარი

მითხარ რისთვისა?

ბართა

დანაშაულზედ,
ბოროტ საქმეზედ.

მთავარი

რა ქმნა ისეთი?

ბართა

ვთხოვთ ღამითხოვოთ...

მთავარი

მიკეიის ღიღადა!
ან თუ გერცეინის შენ შენის შეილის
მოქმედებანი?

ბართა

დიალ... მრცევენიან...

მთავარი

რა ქმნა ისეთი?

ბარონი

რა ქმნა... ბატონო?... -

მას ჰსურდა ჩემი მოკვლა...

მთავარი

მოკვლაო?...!

მაშ მე მას მიეცემ სამართალშია,
როგორც ბოროტსა და ავაზაკსა!

ბარონი

მე მაგეების დამტკიცებასა
არა ვკისრულობ, თუმცა კი ვიცი,
რომ მას სიკელილი ჩემი სწურიან;
კი ვიცი, სწორედ, რომ მიპირობდა...

მთავარი

რასა?

ბარონი

გაჭურდვას... თუ მერწმუნებით...

(ალბერი შემოვარდება ოთახში)

ალბერ

ბატონო, მამავ! თქვენ სცრუობთ, სწორედ!

მთავარი (შეილა)

როგორ გაბედეთ?...

ბართი

აქა ხარ შენა?..

შენ გამიბედე?!

შენ შეიძელი
მაგისი თქმა, რომ მე უკრუობდე აქ,
ჩეენს ხელმწიფესთან?.. მე გამიბედე?..
მაშ მე გმირებში აღარ უყოფილვარ?..

ალბერ

თქვენ ცრუობთ, ცრუობთ!..

ბართი

ღმერთო მართალო!

მაშ რატომ მეტი არ დამეცემა!..

აიღე ესა, და მე და შენ

ხეალ გავეასწოროს ხმალმა გორდამა!..

(გალაუგდებს ხელთათმანს; *) შვილი
მარდად აიღებს)

ალბერ

მაღლობელი ეარ.—აი პარეელი ჯილდო მამისა!

მთავარი

რა ვნახე, ღმერთო, აქ, ჩემ წინაშე?

შეიღმა მიიღო მამისაგანა

გამოწვევაერ ხმალში! შექედეთ

*) ხელთათმანის გადაგდება ევროპაში ნიშანია ხმალში კამოწვევისა.

რა დროს შევესწარ, რა დროებაში
შემხედა გვირგვინი მე მთავრობისა!..
(მამას)

გაჩუმდი, კმარა, შე უგუნურო!
(შვილს)

შენც, ვეფხვის ლეკელ!... გადაისროლე,
მამეცი აქა ეკ ხელთათმანი!..
(ართმევს ხელთათმანს)

ალბერ

ღიღად ეინანი!

მთავარი (შვილს)

შეჩერებული!
რომ ჩაცივდა, შიგ გაუყარა
სულ მთლად ბრკყალები... გა აქედანა!...
ალარ მეჩერენო, მანამ მე თვითონ
არ დაგიძახო!

(ალბერ გადის)

(მამას) შე უბედურო,
მოხუცებულო, არა გრძევნიან?

ბართანი

შემინდევ, მეფევ!.. დგომა არ ძალ-მიძს...
აგერ მუხლები მე მელრიკება...
მცხელა!... ეირჩიბი!... გასალებები
რა მექნა?.. ჩემი გასალებები!.. (დაესუმა).

მთავარი

ახ, ღმერთო ჩემო!.. მოკედა საწყალი!..
 ახ, ღმერთო, ღმერთო, რა ღრის შევესწარ!..
 რა ღრისში ეცნოერობთ და რა ხალხშა!..



ВИЗИТЪ

(თ. გ. დ—ანა)

 რაოდენჯერმე გიახლეთ თქენა, ვერ ვიქტენ
 ღირსი თქენის ხილებისა,
 თქენი მსახური არ მიშევბს სახლში, რაღაც
 «არყაზუედ» დამდგარა ისა:
 «ნაატე დომა სუ პრინძისიტ» და კარებს მარჯვედ ჩა-
 მიკეტს ხოლმე...
 ვიდექი, ვიდექ,—რას გავაწყობდი—და დახშულს კა-
 რებს გამოვესალმე!..



დამივიწერ

(რუსულიდან)

 ამიერიწყეო! წარმოსთქეი შენა.
 მიეხედი, გამიწყრა მე ახლა ზენა!...
 არად ჩააგდე ჩემი ცრემლთ დენა,
 განუკითხაეთ მომისპე ფრენა!..
 თუ გაგიტაცა რაყიფთ წყურეილმა,
 გაგაორგულა მათმა სურვილმა?...

მე, მარტომ, ნალელით, ოხერით ბურკილშა
უნდა სულ თავი, ბედი ვიწყევო,
მწარედ ეიძახდე: „დამიეიწყეო!..“

ნერაზ იმ დღესა, ოდეს სულითა,
შემიკაეშირდი წმინდის გულითა,
და, საესე ჩემის სიყვარულითა,
იტყოლი: „ეიშ, ეიშ, ნატრულო დღეო!..“
ეად ამ დღეს, რომ წყლულის გულითა
უნდა ეიძახდე: „დამიეიწყეო!..“

მოეა დრო, ოდეს მოგაგონდები,
მიცნობ მეგობარს, შეგებრალები,
მაშინ ჰერძნობ, ეითაზ ეიყავ ტანჯული,
რა გდარ მიკენესდა ობოლი სული!...
იტყები: „დამდნარა, ყოფილა მხნეო!..“
აღაზ იტყეო კი: „დამიეიწყეო!..“

— 100 —

~~კერძო დაგივი წევები~~

(აზრი რუსულიდან)

 ანამ მზის სხიეთ არ დაბნელდება,
მანამ ქვეყანა არ დანელდება,
შაესა უფსერულში არ დაინთქმება,
არა არსებად არ ჩაითელდება,—
მანამდინ, სწორედ, ეყრ დაგრეიწყებ...
ზეცასაც შენით ცხოვრებას ეაწყებ!..

— 100 —

/ —

მ ო მ მ ე თ ა დ მ ი

(ოსმალებთან ბრძოლის დროს)



ას კხედავ, რა იბუგება, რას აზღის კორიან-
ტელი?

რა იფუფქება უწყალოდ, რა იწეოს როგორც
სანთელი?

— ქრისტიანებს სწყლავს უსჯულო, ესევა როგორც
ქრავს მგელი!..

ღმერთო, უშეელე ტანჯულებს, მათ დააყენე ნათელი!..

რა მესმის, ეისი კუნესა, ეინ გმინავს საწყალობელი?
ეისი გლოვაა უწყალო, შეილს თუ დასტირის შშო-
ბელი...

— ოსმალო ქრისტიანებს საწყლავს, თვით არის და-
საშენბელი...

მარტო რუსეთი ღალადებს, ბოლგართა თანამგრნო-
ბელი!..

სისხლი ითხევა უმანკო, იღერება მეტის-შეტაღა,
მოხუცთა ჰკლავენ, ყრმათა სწევნ, ჩეილთა აჭმევენ
დედათა,

შანდილოსნებზედ ურცხობა დღესასწაულობსეხდავთა,
მორყენა, წამება, სიკვდილი ნაწერა ამათ ბედათა!..

ამ ეაებიდგან დახსნასა ცდილობენ უბედურები,
აგრამ უსჯულოდ შეიტყეს, მარდად აცქეიტეს ყურები,

გაელლიტეს, თან მიაყოლეს საბრალო უსუსურები,
გადუწვეს ეკლესიები, სახლ-კარი, ყანა, პურები!..

თათარი ყველა ქრისტიანს აწვალებს ძეელებურადა,
ქრისტიანების ამოფხვრა მათ უწერიათ სჯულადა,
ამისთვის სერბი იბრძეიან, შავმთელნიც მამაცურადა,
ჩევნი ძმებია, ქრისტესიც, მაშ მოვეხმაროთ ძმურადა.

შეესწიროთ სისხლი, მალამო, ფულადაც თეითო
ღინარი,
გაელესოთ ძმებო ხანჯლები, გადავარჩინოდ მგმინარი,
მოუსპოთ ტანჯვა, ეაება და სისხლი მჩქეფრად მდი-
ნარი!
ამოეფხვრათ ქრისტეს ორგული, მუხთალი, მყრალი,
მძინარი!

ჩევნცა ეყოფილეართ ამ დღეში, უსჯულოთაგან-
წყლულითა,
მაშ მოვეხმაროთ მოძმეთა: სისხლით, ნიჭით და ფუ-
ლითა,
ჩევნც გაეიხსენოთ ძეელი ღრო, ვეუწეთ მტერს რკი-
ნის გულითა,
ნაცელად გეიძღვნიან მადლობას სულითა დადაგუ-
ლითა.



თა გვების და კატების ომი

(მიბაძვა ძველთა მწერალთა)

აგეთა მეფე ავად იყო, სიღამწერით, თუ ქე-
ც უსაო,
ბუშბულები ქვეშ დაეგო, მოეფინა ბეწენითაო;
წამალს მეფე არ ნებულობს, არუა დიდის ხევწნითაო;
და მას ერთხა ექიმბაშობს, სწამლობს მხოლოდ
წეწენითაო!...

კარას ცნობა მოუეიდა, თაგეთა მეფა შემძიმდაო,
სთქეა: „მარჯვე დრო მე ახლა მაქეს, შეეასრულო,
რაც მინდაო;“

ულვაშებს ტოტი გადისო, ტუჩები გადიწმინდაო
და ჩატინებით წარმოსთქეა: „თაგებს დღე დაუბინ-
დდაო!...“

ეჭირები შემოჩხმო, შეექმნათ დიდი თათბირი:
ერთმა სთქეა: „წიგნით ეიკითხოთ თაგეთა მეფას გა-
საჭირი,“

მეორემ სთქეა: „გაუგზვენოთ მოსაკითხად ლელეის-
ჩირი“,

მესამემ სთქეა: „რას ვეფეროთ, დავმტერით ცხეი-
რი, პირი!“

ციცაშ ჭველა თათბირებში პირველის თქმა
დაიჯერა,

სთქეა: „დაეცურნეთ, მიეწეროთ, აღარ უნდა ამას
ცქერა,
თორებ შევვიტყობს თათბირსა, აკნობებს, ვინც და-
გვამტერა,
საწერ-კალამი მოართვეს და დაიწყო წიგნის წერა.

— „ბატონო, თვალის სინათლეე, დიდებავ, თაგ-
უთა მეფაო,
საში ამბრისა მფლობელავ, ნიგვზითა ხარკთა მკრეფაო,
თქვენი უძლება ვისმინე, ამტკიცდა თავის კეფაო,
სიკცდილსაც მოსძულებიხარ, ვით შე შძულს ძალის
ყეფაო!...“

ნეტა ვიცოდე რა გარგებსთ, მოგართო რამე
მალამო,
ნება მიბოძეთ მოეიდე, მსურს გნახო, მოგესალამო,
გულს მოგეხვიო, თქვენს დარბაზს მტირალნი თვა-
ლნი დაელამო,
ჩემს მწუხარებას ვერ მოეთელი,—დასწერე ჩემო კა-
ლამო!...“

რა მისწერა, თაგვთა მეფას გაუგზავნა კატა
ჭრელი,
წიგნი მისუა და უბრძანა: „თაგვთა მეფის ნახე ხერელი,
ეს ბარათი მას მიართვი, მოსაკითხად ერთი ყველი,
და პასუხიც მომიტანე,—სწორედ მოუთმენლად ვე-
ლი.“

მსწრაფლად გასწია ჭრელმა, წიგნი პირში დაი-
ჭირა,

ყველსაც მიათრევს ბაწრითა, საქმე აღარ გაიჭირა,
რა შეეძიმა, გამოხარა, ამით ბარგი შეიმცირა,
თაგვთა მეფის სასახლეში ჩუმად მისელა დაპირა...

რომ მიეკიდა სასახლესა, მოფენილსა ძეველი ქეჩით,
ხერელში ეყლარ შეეტია, თუმც ეცალა დიდის ჩეჩით,
შეიძახა: „გამომხედეთ! — კატათ მეფის მოველ ელჩი,
სამოყვროდ ვარ, მოსაკითხით, დამერწმუნეთ არას
გერჩით...“

თაგვთა მეფეს მოახსენეს კატათ მეფის წიგნის
ხლება, ეს ამბავი დედოფალსა, არ იამა, იმჭვალება,
აათროთოლა საცოდავსა, მტერსაც კი შეეწყალება...
ბრძანა: „კატებს უფიქრიათ, სწორედ, თაგვების აკ-
ლება...“

თაგვთა მეფამ ეცრ გაბედა ინახეინოს კატაჭრელი,
ეცრ გაბედა ელჩის ნახეა, თვალიად იყო საზარელი...
მოითხოვა და მოართევს კალამი და საწერელი, —
კატას სწერს ტყბილსა პასუხსა, ვით მოძმისა საყვა-
რელი...

„ძლიერო, დიდო ხელმწიფევ, ტომო ვეფხეის
ბუდიდამო,
მიამა რომ წაეიკითხე თქვენი წიგნი, ყურდიდაო,
უძლურისა კითხეისათვის ძლიერ გმადლობ, ჩემო
დაო,
ნუ მიწყენ, ვერ გინახეინებ, აღარა ვარ აეადაო...“

კირამ პასუხი მიიღო თაგეთა მეცნაშერი, ასეული იგი გადიკითხა, მას გადაჰქინა ცუდი ფერი; თავში იცა, გადიგლიჯა ულვაში და მერმე წერი, კაპასობით გააწინეა, ეშმაკურად კუდის წერი...

კატა ჯაერობს, მრისხანეობს, ჩხავის, როგორც
მარტის თვეში,
„უარი ეით გამიბედა?—გაუგზავნე მას ფეშეში,
მოყვერობა არ გამიეიღა, თუ მტრობა ჰსურს—ეაძ-
ერენ ხერელში...
და მე ციცა არ ცყოფილვარ, თუ არ ვჭამო მათი
ლეში...“

სარდლები კარს გამოვიდნენ, დაიძახეს: „შეკ-
რებეს ჯარი!—
ას-ასი ერთად დაეწყენენ, ერთმანეთს მოაპიოთ მხარი,
ხატაურები თავს დალდნენ,—სანაქებო მეომარინი,
კურტებს ბარგი ჩააბარეთ, სალაშქრო ნაღარას ჰეკ-
რით...“

კატის ლაშქარი დაიძრა, მებუკედ ახლავსთ მა-
მალი,
წყნარად მიღიან, წყობითა, გზა აქეთ მათ დიღი სა-
გალი,

თან მიაქვთ ტყეია, წამალი, დაჭრილებისთვი წამალი, საზრდოდ: თევზი და ძეხვები, სხვა ნუზლი დიალ მჩაეალი...

იარეს დღე და ღამესა, მიეიღნენ თაგვთა მხა-
რესა,
მინდორზედ ჯარი დაბარგდა, თაგვთ ემუქრიან მწა-
რესა,
ამბობენ: „დაეხოცთ, გაველეტავთ, ერთიან, დიდს
და მდარესა,
თუ კი ჸერელიდან გამოსულა იმათ არ დაიზა-
რესა...“

თაგვთა მეფამ რომ გაიგო ლაშქრის მოსელა,
დაბარგება,
თხუნელების ჯარი იხმო, ბრძანა ეირთხის დაბარება;
დედოფალაც თუ არ ეიხმე,—ამბობს,—ხომ არ ევა-
რგება?
მოყმე, მოძმეუ მოეიმარჯვოთ, არ ეარგა დაგვიანება...“
ეს რომ სთევა-და, დაიბარა: ეირთხები, ბლომალ
თხუნელა,
უბრძანა: „როცა დაღამდეს, წრუწუნა დამალეთ
უველა,
მას უკან კატის ურდოში შეიპარეთ ნელა-ნელა,
რადგან ჯარი ჯერ ცოტა გვეკავს, ვერ შევებმით
ხელ-დახელა.“.

იმ ღამეს ლურჯა თაგვები შეეპარეს კატის
ურდოს,

ტომჩები სულ დაუხერიტეს, ლაშქრობაშია, დიალ
ცუდ დროს,
ნუზღი ბევრი შეუჭამეს, თითქო ვისმე გაექცურდოს,
რა ინათა, მია შერეს, სოროებში ფერების ბურდოს...

ვათენდა, მამლის ყივილმა სულ შესძრა კატის
ჯარია,
რა ნახეს ნუზღი შეჭმული, სთქეეს თუ—ეის გაუპარია?
ტომჩის ნახერეტთა ამცნივეს, რომ თაგეთა ნასაქმარია,
სთქეეს: „თუ ასეა, თაგებსა დღე დაულამოთ მწარეა!“

შეკროედა კატისა ჯარი, შემოკრბა ყველა ერთ
წამსა,
უცეინდნენ თაგეთა სოროებს, დაუწყეს ფხოჭნა მიწასა,
მოგეხსენებათ—კლანკები როგორ მჭრელი აქვს ცი-
კასა!
კნაერიან, მჩისხანეობენ, ზოგი თავის კუდს პფაცაესა!..

თაგეთ რა შეიტყეს კატების მოხდომა მათსა
კარებსა,
შექნეს წრუშუნი, გასწიეს, ერთიან აიყარესა,
ხერელ-ხერელ იარეს დიდ ძალზე, სულ ისე გაიპარესა,
სხვა სოროებით ამოძერნენ, წყლის-პირზედ დაეპწყა-
რესა.

კატებმა ნახეს მოტყუედნენ, მაშინ მოსწყდათ
იმათ წელი,
დაიძახეს: „კაი მაგათ! მაგ ბილწებსა მიეყოთ ხელი!“

ისკუპეს და გადაცეივლნენ, დეერივნენ, ვით თხებს
მგელი,
თაგვებმაც შემოუტიეს—და გაჩნდა ობი ფიცხელი!...

შეიქნა ჩხაეგილ-კნაეილი, წრუშუნი, ლაწილუ-
წია,
სისხლის ლვრა, ტყავების ფხრეწა, თაგვებსა ცოდვაშ
უწია,
მრავალნი ყრიან უთავოდ, ზოგნი სულ აუწუშნიათ,
და აგერ დაჭრილი ციცისაც ტყავი სისხლს გაუწუწია!..

დამარტბდა თაგვეთა მეფაი, ვერ ყოფილა მეო-
ბარი,

გაჭირების ტალკვესიეთ მოეშეელა თრიის ჯარი,
ნაღმის ჩამდგმელი დაჭირდათ, თხუნელაა მოსახმარი,
დელოფალებიც გამოჩნდნენ, ამათვე მოაბეს მხარი!

კატებმა ტოტსა გაიკრეს, კლანჭი გაშალეს მრუ-
ლები,
მარჯვნიე, მათ მოსდგნენ ვირთხები, ციცებს უხვე-
ლრეს კუდები,
თაგვები ურდოს დაეცნენ, ხელთ იგდეს ნუზლის
გუდები...
ბაყაყნი სეირს უცქერენ, ოში არიან ცუდები!...

ამ დროს გამოჩნდა სერჩედა მეფე ქორ-მედებრე-
ბითა,
თურმე ნადირობს იმ დღესა მწევრებით, დიდის
კრებითა,

იაშა თაგეთა მეფესა, ეშველა ღმრთისა წებითა,
გაბრუნდა ციცისა ჯარი, გაიქცა ლიდის ვწებითა!...

ასე გათაედა ეს ომი, ასე მიამბო გადიამ,
თაეს არ შეკაწყენთ შეტადა, კალმის დადებაც მწა-
ლიან,
შე ისტორიას არა ვწერ, ზღაპრის თქმად მოვემზადეა,
—ჩემისთანა მელექქებად ხომ მესტეირებიც დაჭიან!..

——

✓ ვინ შევიცვა არო?

(აზრი რუსულიდან)

 ინ შეეიყეარო და ეის მიეანდო საიდუმლონი
ჩემის გულისა?...
ეის ნაზს ალექსა უნდა ვერწმუნო, რომ მყუ-
დროება ვპოვო სულისა?...
სად ვპოვო ეხლა მე მეგობარი, პირში შთქმელი და
პირუთნეველი,
რომ არ გამკიცხოს, არც სხვა აცინოს ჩემზედ იმანა
და მომცეს ხელი?!...

——

ქრთამის წინააღმდეგი

 ე ქრთამს არ ვეძებ, თქვენც კარგად იცით,
ამას არ უნდა კეთენა და ფიცი;
ქრთამის ალება მეთაკილება,
რადგან სახელი გამეკილება;

დიდი კაცი ვარ მე ხელოვნებით
 და ხალხის საქმეც ხომ მეყურება!..
 (ამას არ ვამბობ მე თავის ქებით,)
 მაგრამ, თუ ჩემზე უფროსი სწურება,
 მაშინ გავტრუნავ თავეივით სულსა,
 ჩაედუნავ თავსა, დაეუგლებ უურსა...
 ჩემი უფროსი ერთხანს იშფოთებს,
 რა დაიმშეიდებს მღლელარე გულსა,
 მოვა და ისევ მომეუკრება: ისევ დამიწუებს პატივის-
 ცემას!...

იცით რისთეისა? — ერ მკადრებს ცემას,
 ლანძლეით კი მლანძლოს, რამდენიც ჰნებაეს,
 ერ მომაყნებს იმითი ენებას!..
 მასთან, არა ვარ მბლოკეელი კაცი, —
 ქრთამს არ აეიღებ, განა არ იცით!...
 თუ მითავაზებთ კარგსა ბაჩასა,
 ან ლაზარინოს წყვილს დამბაჩასა,
 ეს მევობრული იქნება ძლნობა,
 ამაში ცველა დამემოწმება.

მე ქრთამს არ ვიღებ, განა არ იცით?
 თუ გსურსთ, გარწმუნებთ მე ამას ფიცით!

თუ გამოკვაენით ირმის გავასა,
 მე ვინ დამიწუებს მასზედ დაეასა?
 ეს რა ქრთამია, განა არ იცით?
 — მოსაკითხია, გარწმუნებთ ფიცით?
 — ან ხანდისხანა: კაკაბს, ხოხობსა,

დურეჯს, ჯეირანს—სუფრის შემკობსა,
ეელურსა ღორსა, მშველსა და თართსა,
მაშინ გადეიყრი გულიდგან ღარძსა...

ეს რა ქრთამია, განა არ იცით?
მოსაკითხია, გარწმუნებთ ფიცით!

თუ მასშეეთ კიდევ კახურ ღეინოსა,
რომ უფრო კარგად მომელხინოსა,
ეს ხომ სულ ყველს დაგვირგვინებს
და იქვე ტყბილად მე მიმაძინებს!..

ეს რა ქრთამია, განა არ იცით?
— მოსაკითხია გარწმუნებთ ფიცით!

თუ დამპატიუებთ ოცის კაცითა, შინაურულად გე-
წვევით შინა,

თქეენს ცოლსაც ისე მიეჭალერსებ, თითქოსო მქონ-
დეს მე თქეენთან ბინა!

თქეენს ქალსაც გულით გადაეცევენი და გადაეკოცნი
იქ; თქეენს თვალწინა!

ნაცელად ამისა, თქეენს სულელს შეილსა ჩემთან და-
ენიშნავ და წარწევ წინა!

მისთვის ადგილი თუმცა არა მაქეს, მაგრამ მე გა-
ეხსნი იმავე წარში:

ჩემთან მსახურობს ღარიბი კაცი, ძლიერ წერილ-შეი-
ლი, შესული ხანში,

თუმცა კი შრომობს, ერთგული არის, მაგრამ დაუუ-
გებ ამ ნაირ მახეს:

„სამუშაო ჩეენ შენთვის არა გვაქვსო,
წაეთრიყ და ჩამოითხოვეო...“
მდიდრებო! რომ მეტყოდით: „იმუშავე!!“
მაშინ მქონდა ბლობად ძელები დახრული,
ნასუფრაპლი თქეენის მეჯლიშებისა;
თქეენს ბურდოში კარგად გამოვიძინე
მატანტალამ და არ გწყველით მე თქეენა!

ყარიბი გარ; ხომ შემეძლო ქურდობა,
მაგრამ არა, სჯობს რომ ჩამოვითხოვო...
ბეერი-ბეერი, — მომეპაროს მე ვაშლი,
ვზის პირას რომ წითელ-ყინვლად ლურდა.
და რამდენჯერ მე, ამისტეის
შიგ ციხეში თავი
მით მომაკლეს ჩეენ და მარად მოსახუროსა,
ხარკსა ღვთისგან
მჩესა — ბერი მატალა.

ყარიბს განა სამშობლო-თაქტებ-და საღმე?
შე რად მინდა თქეენი ლეინო და პური,
დიდება და თქეენი ალებ-მიცემა,
ან ყრილობა თქეენი მპეერ-მეტყველობის?
როცა მტერი ხმალ-მოწედილი დაგეცათ.
და ის თქეენში რომ დღესასწაული-მდა,
შე სულელი კი ცრემლით ვითხევდი,
ბერი-გლახა, ძლომილი მტრის ხელითა.
კაცნო, ხალხნო, რად არ გამსრესთ მე თქეენა,
როგორც მლილსა, ზიანის მომცემელსა?

ს არა სჯობდა, ჩემთვის გესწაელებინათ
მუშაობა, სასიკეთოდ ქვეყნისა?
ქარიშხალს თუ აეცდებოდი საფარში,
მაშინ ძლილიც ვიქცეოდი ჭინჭელას;
ვკვდები ახლა მატანტალა თქვენს მტრადა!..



✓ ၁၀. ၂—၈၃ၬ

“... შე უკეთო, შენა?...
რომ დაგაშევნა?...
ეს უკეთო გიჩენებს,—
მართლა არა აუგებ იჩემეს...
დასტურ შენი სახე?—
აბა ჩემს გულშიც ერთხელ მონახე,
ჩამოახელე, — იქ ჰნახან შენს თაქს,—
ნამდოის სურათსა, ანგელოზის მსგაეს!...”



~~155th Regt C~~

(მეფის ირაკლის მეორის და ოსმალ-ლევან-შორის 1770 წელში)

I

ვეუნად ვეცებდი სამოთხეს, სამხრეთისაკენ ედემსა,
ევფრატის 1) გალმა გაეხედე გადახრუელსა
ქედებსა,
აქ ვერ ვხედავდი ცეასებრ შშენიერებსა დედებსა,
არც სად ხეხილსა, არც წყალში ამაყსა თეთრსა გე-
დებსა! 2)

“შევეკრთით ა.ოშ ქანახე ქვეყანა უდაბური და მწირია, ³⁾
გოებრუნვლი, მხარი ვიცალე, ჩრდილოსკენ ვქვენი
პირია,

ეიარე არ შეეძმინი, მე ჩემი გასაჭირია...
ან კი სა მეტქმის? — კაცის თავს ეავბა ლიალ ხშირია.

აგერ მოვედი და შევხედი სანატრუელს ნეტარებასა!...
ვიპოვვე იგი სამოსახე, ეცნ მოსთელის ამის ქებასა,

¹⁾) ეფრატი—მდინარე ოსმალეთში, სადაც იყო სამოთხე,
ამ წყალსა და ტიგრს შეუ.

*) გელი—ბატზე უ უდიდესი მაღალ - ყელიანი ფრინველია.—რუსები კი ბევერს ეძახიან.

³⁾ მწირი—უნაყოფო, ლარიბი ადგილი.

გადაჭიმულა წალკოტად, 1) შახედეთ ლეთისა ნებასა,
ეს საქართველო ყოფილა,—ჰევედრია ღმრთისა დე-
დასა!.. 2)

ორი ზღვის შუა მდებარებს ქართველთა მიწა-წყალია,
ჰყევის და ჰყევის მუღმისად, ყინვისგან დაუმზრალია,
შიგ ბანვენი 3) კეკლუცნი, მტრის თვალშა ჯერ
უერ დალია,
გაფ-კაცთ ცალ ხელში ჯვარი აქეთ, მეორე ხელში—
ხმალია!..

ეიშ, რა ხალხია, რა ტურფა, რა გულოვანი,
მოყეასი, 4)

უხვი 5) მხნე, ქრისტეს მორწმუნე, მტკიცე რჯული-
სა, კისკასი; 6)
შურით, იჭვით და ტრფიალით მათ გადმოსცეკრის
კავკასი,
ნოეს კიდობნის მტეირთველიც და ურწმუნონი ათასი!

რა ქეყყანაა, რა ჰშენის, დამატებობელი სულისა,
ვაჩი ვარდს გადაპევერა, გამლ ალებელი გულისა,

1) წალკოტი—ბალი.

2) წერილები მოგვითხრობს, რომ საქართველო ღმრთის
მშობელს ჰევედრია წილად.

3) ბანვენი—საქებელს ქალს ეძახიან.

4) მოყეასი—ამხანგი.

5) უხვი—გამმომეტებელი ყოვლისა სიკეთისა.

6) კისკასი—სწრაფი.

არ ეკრძალების კავკასის, ღრუბლებით დაბურულისა,
ებგურად ¹⁾ ახალის ამ მთასა, ზოგჯერ მიზეზად წყლუ-
ლისა!...

II

აქა მეფობდა ირაკლი, გულადი, შეუპოვარი,
ჩამდეილი მეფე ყმათათეის, სიკეთას დამმამხსოვეარი,
მის ხელში ყველა ხარობდა: მონუცი, ძუძუ-მწოვარი,
არეისთვის ჰშურდა ნაშავრი, არც მამის დანატოვარი!..

იყო მხნე, დაულალავი, ხმალზედ ეკიდა მას ხელი;
ჟველა აქებდა ირაკლის, მტერიც არ ჰყენდა მორა-
ნელი,
იყო ქერიე-ოხრის მფარველი, მამა ობოლთა და
ქველი, ²⁾
მოძმე, მოყვასი ლაშქართა,—მით ისახელა სახელი!..

ეა იმ დროსა, ირაკლის მტერი გარშემო ესია,
ხმლით იგერებდა ბილწებსა, იმათთვის გაულესია,
დღეს ერთს იფრენდა, ხვალე სხვას დაჭმართის უარესია,
არ შეარჩენდა არაეს,—ეს იყო მისი წესია!..

დააქროლებდა ირმასა ³⁾ პატარა კახი, ⁴⁾ მალადა: ⁵⁾
ერევანს ⁶⁾ იქით ქურთებსა ხარჯს ახდევინებს ძალადა,

¹⁾ ებგური—შორიდან მზვერავი დარაჯი, ანუ ყარაული.

²⁾ ქველი—მოწყალე.

³⁾ ირმა—უხენის სახელი.

⁴⁾ მეფე ირაკლის „პატარა კახს“ ეძახდა ხალხი.

⁵⁾ მალი—მარდი.

⁶⁾ ერევანი—ქვეყანა საქართველოს სამხრეთით.

ნათლისმცემლთან ¹⁾ ლეკებსა თავს დაესხმება მკა-
ლადა,
იორჩედ ²⁾ მოამბდესაცა აღარ გაუშევებს შშრალადა...
მოუპირუნდება ქურთებსა და არეზს ³⁾ გააცილებსა,
სამგორუში ⁴⁾ ეირიმს დაუშენს, არც ერთს არ დააცი-
ლებსა,
სამაჩაბლოში, კეცხისა, ⁵⁾ ლეკებს ჩამტყრევს კბი-
ლებსა,
და ახმეტაში ⁶⁾ წუნკალებს ⁷⁾ სულ აუტირებს შეი-
ლებსა!..

რა გაიმარჯერს, მობრუნდის, ცოტა ხანს დაისვე-
ნებდის,
ოლალის, ⁸⁾ იძხიარულის, მოყმით მხარს დაიშვენებდის,
გასცემდის, უწყალობებდის, ცოტას არ დააჯერებდის,
იწვევდის სტუმართ, დიდებულთ, კეთილად მოიხსე-
ნებდის.

თუ რომ მეფეს და ქვეყანას მტერი სჭარბობს—გა-
ჭირდება,

¹⁾ ნათლისმცემლი—კახეთშია.

²⁾ იორი—მდინარე ტფილისის ჩრდილოთ.

³⁾ არეზი—მდინარე ოშალეთში.

⁴⁾ სამგორუ—სართიკალისა და ლოჭინს შეა მინდორი.

⁵⁾ კეცხისი—სოფელია სამაჩაბლოში, გორის მაზრაში.

⁶⁾ ახმეტა—სოფელია კახეთში.

⁷⁾ წუნკალა—ბილწი, გლახა, მურდალი.

⁸⁾ ლალი—გათამამებული, გამზიარულებული, განსვენე-
ბოლი.

გრერი მძლავრობს, მედილურობს, მოყვარე კი—გა-
ძეირდება; ერთს მოიმხრობს, ითათბირებს ۱) მეორე კი,—გიმ-
ძიმდება, მაშინ გრძა ჭკვა და ფიქრი, —თორემ სევდა ۲) გი-
ნშირდება!

იმ ღროს მეფეს ოსმალეთი უხდებოდა მევობრადა; ლეკები კი—სწორედ რომ ეთქეათ—დადიოდენ მე-
კობრადა ۳); დარჩა მარტო ქირიმ-ხანი ۴) არ ჩავდებს არაფრადა,
თუ მობრძანდა, პასუხს გასცემს და ვამოცლენ ბა-
რიბრადა...

მაშინ მეფე ირაკლისა საქმე ძლიერ დაეცარა,
ხონთქარი და რუსთ-ხელმწიფია აშლილიყენ საომარად;
ეკატერინას ენება, რომ ირაკლი მოეხმარა
და იმისთვის ტოტლებენსა ۵) იერლიყი ۶) მოსკა
ჩქარა.

۱) თათბირი—რჩევა, გარიგება, მორიგება, შეთქმულობა.

۲) სევდა—ბოროტი, ვარამი, მწუხარება.

۳) მეკობრე—თული, მტაცებელი, ავზაკი.

۴) ქირიმ-ხანი—სპარსეთის ხანი, რომელსაც ებარა თავ-
რიზის აქეთ მხარე.

۵) ტოტლებენი—რუსთის ლენერალი, გვარად ტოტლე-
ბენი.

۶) იერლიყი—ბრძანება მეფისა ქვეშევრდომზე.

III

ღენერალი ტოტლებენი ქრუხინვალს ¹⁾ იდგა რუსის ჯარით,
წინა წელში მოსულიყო, რუსეთიდან, არ მოპარეოთ,
ოსმალებთან შეტაკებას მოელოდა სულით მწარით,
აპა, წივნი მოუყიდა მეფასაგან მას სიჩქარით.

გადაიკითხა, წამოხტა და ირაკლის მიაშურა,
ტფილისისაც გასწია, მისი ხილეა მოიწყურა,
კარის კაცი უწინ ნახა, არავინ არ მოიძღურა,
მერე იახლა მეფესა, ამბორი ²⁾ დაიმსახურა.

მოახსენა: „დიდებულო, მომიერდა ბრძანებაო,
ჩემის მეფის, უძლეველის, ვისიც არ ძალ-მიძს ქებაო,
მიგიწეოთ მის მომხრეთა, დამრთეთ, მომეკით ნებაო,
შავებათ ოსმალს, ძირს დაეცეთ, ორს ვეღარ აგვი-
ღებაო...“

რა მოისმინა ირაკლიმ, შუბლზედ გადისო ხელია,
ჩაფიქრდა, რალაც აზრზედა, ვითა შორს დამნახელია,
და უპასუხა ტოტლებენს: „საქმე სთქვი ჩემდა ძნელია,
დღეს ურიგდები რამალოს,— ლალატი რა საქნელია?..

მართალია პატიესა-უცემ, დიდსა მეფას და ძლიერსა,
ერთმორწმუნე მიზანენია სხვა უიჯულო სულიერსა,

¹⁾) ქრუხინვალი—ქართლში სოფელი, ლიახვის ხეობაზედ,
გორის ჩრდილოთ.

²⁾) ამბორი—კოცნა.

შეგრამ მტრები, თქვენ რომ წახეალთ, დამიჩაგვტრენ
სულმთლად ეჩსა,
დაქცევენ საქართველოს და დაშიომენ ცარიელსა!.."

აქ ტოტლებენმა ორაკლის ჰყალრა: „რად გვაკ-
ლებ ნდობასა?

ეკატერინა ღილია, მოგფენს თეისს მფარეველობასა,
მტერს მოგაცილებს, ფასს დასდებს შენს ხმალს და
ერთვულობასა,
წყალობას მრავალს მოგიძლენის, გრძამს დედობას,
დობას!..

ნუ დაენდობი უჩრწმუნოს, შენზე ლალატად მო-
სულსა,
ან რა ხელს მოგეჭას თათარი, თუ უკი დაგიუთხობს
ტებილს ძილსა?
რისთვის დაითხობს შენს ეჩსა იმის საყეარელს
ცოლშეილსა?
რა კავშირი აქვს ჯვართანა ნაპირის სჯულით მო-
სილსა?..

შეერთდეთ, იტყვა ინწმუნე ეკატერინა ღილისა,
ნულარა გჯერა თათრისა, უსჯულოისა, ფლიდისა, ¹⁾
გაბედე ღვეთის გულისათვის, დრო ალარ არის რი-
დისა, ²⁾
ეეძგერნეთ ოსალს, დაკლეწოთ, მანამ კუვას მოი-
მკიდისა!..

1) ფლიდი—ურუ.

2) რიზა—მორილება.

ჩაფიქრდა მევე ირაკლი: „კარგია—ბრძანა—მჯე-
რაო,
ვენდობი უფრო იმასა, ეინც ოსმალს დამამტერაო,
თუ დამესია უსჯულო, ყოფილა ბელის წერაო,
ამას ხომ მაინც იტყვია: „ირაკლიმ მოიგერაო!...“

შეეყრი ლაშქარსა, ეუბრძანებ, ხმალსა გაიკრან ხე-
ლია,
გასწიონ აწყვერისაკენ, შენც ჯარით იქ მოგელია,
იქა ვარ შენი მოძმერ, იქა ვარ სისხლის მღვრელია,
არ გყვონს კი, უცნობოდ დაერბოდე, როგორც
ხელია!.. 1)

მშეიღობით!.. ახლა მიბძანდი, შენც მოამზადე
ჯარია ..“

ასე გათავდა თათბირი, როგორც ირაკლი ჩქარია!..
აქ ტოტლებენშა მაღლობით გაელო სასახლის კარია...
შეიქნა ეაჟ-კაცთ მოწვევა, შეიძრა მთა და ბარია!..

IV

იფრინდაები 2) გაგზავნეს ქართლსა, კახეთს და
მთაშია,
ოსმალ-ლეკებზედ იწევენ არჩეულს ხალხს ლაშქარშია,
ისინიც აგრე შემოკრბენ, თითქო მოვიდნენ მკაშია,
მოიმლერიან ბიჭები, მხნეობა ისმის ხმაშია!..

1) ხელი — შეშლილი, გიურ.

2) იფრინდა — ჩქარი მოარული.

რაზმი 1) და რაზმი დააწყეს, მიუჩინეს უფროსები, ცხენოსანი და ქვეითი სუკელანი ვაჟ-კაცები, ქართლ-კახეთი, თუშ-ხევსური, არ მოჩანან აქ ოსები, მაგრამ ზეით თუ არიან, საღაც იცლინ რუსები.

შეხედეთ ამ ჯარს, მშენიერს, იმათ მხარ-კლასა, ბეჭებსა, წითელ გულის-პირს, ყაწიმებს, შალვარში ჩამჯდარს, ბიჭებსა, ხმალი, ხანჯალი, დაშაჩა, ლეკებს არ გააკრიჭებსა, თოფი, სიათა, ხირიში, ოსმალის გულზედ იჭექა!.. ვინ ვის სჯობია ამათში, აზნაური, თუ გლეხია, თავადიშვილი, თუ გლეხი, ყველა მტრისათვის მეხია, ამათმა მტრება ქართლიდან ამაიკეთოს ფეხია... ამათზედ, ვკონებ, არაეს ბეერი არ დაუკეთება!.. დაიწყო ჯარი, დაიძრა, გაშალეს დროშა²⁾ ალამი,³⁾ ჰერებს ბუქას⁴⁾, დაფ-დაფი⁵⁾ იკერის, დიდი რამ რო-გორც ხალამი,⁶⁾ ზურნა, ნაღარა,⁷⁾ კიუირი, ვით ასწერს ამას კალაში?.. მობძანდა მეფე ირაკლიუ, ჯარს შემოსახა საღავა!..

1) რაზმი—წყობილი ჯარი.

2) დროშა—ნიშანი ფერად-ფერადი, წყობილი ჯარის გასარჩევად.

3) ალამი—იგივე მომტრო.

4) ბუქი—საყვირი.

5) დაფ-დაფი—ტყავ-გაღაფარებული ქილა, ან ილექტო-თავანი იმ გვარივე. -

6) ხალამი—ქილა.

7) ნაღარა—საომარი საკრავი.

იარა ჯარმა, აიეიდნენ, რუსს აშოუდგნენ მხარშია,
მეფე ტოტლებენს ულიმის, არ არჩევს თავის ძმაშია,
გაბწიეს ერთად, შეეიდნენ ბორჯომის 1) ხეობაშია,
ირაკლი ჯარებს შიუძლივის, თან ახლავს ექიმბაშია. 2)

გიორგი ბატონიშვილიც იქა ბძანდება ჯარითა,
აქ ახლავთ ბარათაშვილი, დემურაშვილი დავითა,
ხატულაშვილი სოლომონ, სოლომონ მეითარითა, 3)
ამ ვაჟაყაცების ყურებით მტერი გასკდება ჯაერითა!..

აგრე იარეს, მიეიდნენ, აწყვერს 4) მიადგნენ ციხესა,
აქ მოდარაჯემ 5) შეუტყო, ციხიდან სროლა იწყესა,
ჯარი შეჩერდა, მოუსხდა, ვინ კლდესა, ც.ნ ქვას,
ვინ ხესა...
დამშეიდებული ომი სჯობს, აჩქარებულ სიუიცხესა.

▼

სკექს და მოქუხს ზარბაზანი, თოფების ტკაცა-
ტკუცია,
სამი დღის და ღამის ბრძოლას ციხე ძირს ვერ დაუტა,
ტოტლებენი მოლრუბლულა, ხმა არეისთვის გაუცია,
ზოგი იტყვის: „მრგის ენასა, ირაკლი თუ გაუცია? ..“

1) ბორჯომი—ხეობა ზემო-ქართლის სამხრეთით.

2) ივანე ყარავერი.

3) მეითარი—ხელმწიფის მხლებელი, (კამერგერი).

4) აწყვერი—ახალციხესა და ბორჯომს შეა სოფელი
და ციხე.

5) მოდარაჯე—მეთვალყურე, ყარაული.

დილით მეფეს მოახსენეს უცრაური რამ აშბაეი.
 „წუხელ გრაფი ¹⁾ აყრილაო, ალარა აქეს ჩვენი თავი,
 ქვეით მიღის ქვიშეცთისკენ, ჯარი მიჰყაეს დაუცავი,
 ვა-თუ რამე მარცხი შაპხედეს, ვა-თუ დაერჩეთ ჩენ
 პირშაეი?!..“

რა მოხსენდა ეს მეფესა, შემოიკრა თავში ხელი,
 ზე მოაჭდა თეთრსა მერანს ²⁾ მოკლე გზა აქეს და-
 საქსელი,

გადარწირა ბილიკებით დაქანცული, ოფლით სეელი,
 შეუძახა: „ლენერალო! მომიცადე, თუ არ მელი!...“

ჩაიჭრა და შეეედრა ტოტლებენსა მოწიწებით: ³⁾
 „ეს რა მიუავ, დალოცეილო, ალარ ვიყავ შენის ქებით,
 აგრემუ ლმერათი გადლეგრძელებს, გამობრუნდი შე-
 ნის ნებით,

თორემ მტერი დაგამარცხებს, ჩევნც შაერცვებით,
 თქვენც წახდებით!“

ტოტლებენი მოუბრუნდა, მოახსენა ირაკლისა:
 — „მე ჯარებით წამოვედი, ბრძანება მაქეს დელო-
 ფლისა,
 თურმე ოსმალს გაურიგდა, მტერი არ ვართ ოსმა-
 ლისა,—

თქვენ ნუ სწუხართ ჩემთვის, მეფეე, იმედი მაქეს მე
 უფლისა...“

¹⁾ ტოტლებენი.

²⁾ მერანი—იაბო, კარგი მატარებელი.

³⁾ მოწიწება—დამკრთალად.

დაბრუნება ჩემგნით არ ჰაშს 1) ვერ გაესტეხავ
ბრძანებასა,

მომიტევეთ, ღიღებულო, ვერ მიყვები თქვენს ნებასა,
ჩემს ხელმწიფას ეწყინება, მისას კირჩევ მე ხლებასა,
თქვენც გაუძლევებით ოსმალთა, შეისხამთ დიდსა ქე-
ბასა. ”

ამ სიტყვაზედ ირაკლისა თვალში ცრემლი მოერია,
გრაფს შესცერის მრისხანება, როგორც ორბი მში-
ერია!.

და უთხრა მას: „რა მიყავი?.. რათ დამიღუპე ერია?..
ოსმალთან ვიყავ განშეობით, ახლა კი ჩემი მტერია!..

შენ არ მიქადდი სიკეთეს,—რუსეთის მფარევლო-
ბასა?..

რა იქნა შენი თათბირი?.. შენ არ მიქადდი ძძობასა?..
მეც თქვენი კალთა ვირჩიე, ურჯულო თათრის ყმა-
ბასა..

ახლა რაღა ვქნა, ბეჭ კრულმა, ვეღარ მოვსულვარ
ცნობასა!..”

„მე რას გავაწყობ, მიბრძანე, ამ ჩეა ათასი კაცითა?
მეტი არ მახლაეს, შენც იცი, ვფიცავ მიწითა და ცითა,
მე კაცი სადღა შემჩერია, საქართველოს დაცვითა?...
მტრის დევნამ, მოყვრის ლალატმა, გლახ გული ჩემი
გაცეითა!..”

1) ჰაშს—იქნება, შეიძლება, რიგია, წესია, არ ჰაშს
—ამეების წინააღმდეგია.

მერმე გულ-შვეიდათ წარმოსთქვა საქართველოს
პატრიონმა:

„იწამე ღმერთი, გარწმუნებ, არ დაგიწუნოს ბატონშა!..
აქ ცალი მუხლი მოდრიკა მტრისაგანაც მოსაწონმა.
ვედრება ბევრი ისმინა, ყოველი სიტყვის ამწონმა...“

— „არ შემიძლიან, ხელმწიფევ,—სთქვა ტოტლე-
ბენშა,—არაო,

ეს არ იფაქრო ჩემზედა, მუხთლობს, ან დაიზარაო;
თავს ნუ იმცირებ, აბრძანდი, ხეწნა, ვედრება კმარაო,
ჩემს მეფის უნდა ეიახლო, უნდა წაეიდე ჩქარაო.“

ამის გამგონე ირაკლი, ზე წამოვარდა მარდათა,
თეთრსა მახახრა ტაიჭა¹⁾ მისთების არ იყო ბარგათა,
მიაქროლებდა მთა-გორჩევა, ეკალი უჩნდა ვარდათა,
რუსი ჯარისთვის დიდათ სწუხს, გულში ჩაეჭრა და-
რდათა!..

მობრძანდა თავის ურდოში²⁾ ჯარსა ამხნევებს გმირია,
თეითონ პირის-პირ იქ არის, საცა-კი ვასაჭირია,
იძახის: „კი მაგასა! ზედ დაამტერიე პირია!..
თავი მოსცერით წუნკალებს და ისმალებსა ცხეირია!..“

შებინდდა. ომი შეჩერდა. დრო იყო დასვენებისა,
ირაკლიმ იხმო სარდლები, ლირსნი თამამად ქებისა,

¹⁾ ტაიჭი—ცხენი.

²⁾ ურდო—ბინა ლაშქართა.

ბრძანა: „გადზავნონ კაცები, ჰემნან ბატონისა ნებისა,
შეუტყონ ჩუსთა მშეიღდა, რომ მეფეს იამებისა...“

მერმე უბრძანა: „ასე სჯობს, თუ კი არაქარ ფლიდია,
სულ აიყაროს ჯარები, ეხლავ მცირე და დიდია,
წინა კაცებშია ასპინძას¹⁾ მტკვარზედ აჭყარონ ხიდია,
თორემ ოსმალნი, რომ ვხედავ, ჩვენგნით დღეს მო-
სარიდია..“

დაიძრა ჯარი ქართველთა, ასრულდა მეფის ბრძა-
ნება,
ასრულდა მისი თათბირი, მისი სურვილი და ნება...
გათენდა, უიღაც გამოწნდა, ქარიგით მოექანება,
იძახის: “რუსნი გაეიდნენ, არ მისცემიათ რამ ვნება!..“

სამშეიდობაში რუსების გახელა იამა ირაკლის,
აწ ხელვაშლითა ბრძანდება, აქ ბევრს აღარას ინა-
ლელის,
თითო ჰყავს, ათსა სჯობია, მათით შეავსებს დანა-
კლისს,
ოღონდ კი შაპხედეს მალე მტერს, ამას ნიადაგ ინა-
ტრის!..

VI

ათი-ათასი ოსმალო, ლეკებს რომ ქართლზედ ამ-
ტერებს,
დასლევნებია მეფესა, მოპსხმია ასპინძის სერებს,

¹⁾ ასპინძა—პატარა სოფელი და სიმაგრე მცირე კლდო-
ვანს ადგილს ხერთვისისენ, ახალციხის მაზრაში.

ქართველთ თარეში ¹⁾ იმ ღროსევე, თურქე მათს სო-
ფლებს ამტკერებს
შავხვდნენ ოსმალნი და ჰეოცენ, ირაკლი ძლიერდა
აჩერებს!..

ბატონს მოპხენდა, რომ მტერი კიდევ მოელის
ჯარებსა,
გარს შამოერტყმის, ღამწყველეს, შეუკრავს ტაშის-
კარებსა, ²⁾
ჯარს ამოუწყვეტს, გაჰუჭავს, მიწას არ მიაბარებსა...
აგერ მოაწეა კიდეცა, ჯარს დაელით გაახარებსა!...

მოაწეა ლეკი, ოსმალი, გაჭარდა, საქმე ძელია,
ღასწიეს ქართველის ჯარებსა, ერთ-პირად მიჰყეს ხელია,
მეფე გიორგის იბარებს, შეელა ჰემს საქებელია,
გაჭირდა საქმე, ქართველთა ღმერთილა არის მხსნე-
ლია!..

მოიხმო შეფერ ივანე, რომ ახლდა ექიმბაშია,
უბძანა: „გაასწი საჩქაროდ ბატონის-შეილის ჯარშია,
სოხოევ გიორგის გვიშეელოს, აქ ამომიდვეს მხარშია,
აქ მიჭირს იმასი ჯარი, ქართველთა სისხლის ლერა-
შია!..“

ივანემ ცხენსა გაქუსლა, მიიჭირა გიორგისთანა,
გადასცა შეფის ბრძანება, როგორც ჰემს კარგი ყმი-
სგანა,

¹⁾ თარეში—მარბიელი.

²⁾ ტაშის - კარი — ბორჯომის ხეობაში შესავალი.

ეყედრა: „ბატონიშვილო, მობრძანდი ირაკლისთანა, უჭირს მამა თქვენს, არ ახლავს, მშველელი თქვენი ხმლისთანა!..“

გიორგიმ ბრძანა: „ივანე, მოდი შენც ჩეენთან და-
რჩიო,

მერწმუნე, ჩემსა მოყმეშა, მე შენ არ გამოგარჩიო,
ნუ მელრიჯები ამაოდ, როვორც ფართლისა ჩარჩიო,
თუ გაუჭირდა მამა-ჩემს, მაშინ სხვა უნდა ვარჩიო!.“

გიორგის მხლებმაც შესძახეს: „ივანე დარჩი ჩეენსაო,
დახე ჩეენს წყობილებასა, დახე ჩეენს სიმაგრესაო...“
ივანე გიორგისა სთხოეს: „გაფიცებ მამა თქვენსაო—
წავიდეთ, თორემ ქართველნი, ლამის სულ ამოწყდე-
საო!..“

„არა, ივანე, აქ დარჩი, ჭყეიანნი ასე შერებიან...“
— „დარჩი აქ“ — სხვებმაც მოსძახეს — „არა! ჩას შე-
უბნებიან?...“

ირაკლის სახელსა ეფილავ, ესენიც კარგს არ შერებიან,
წავალ და მეც იქ მოვკედები, სადაც ქართველნი
სწყდებიან!..“

ივანემ (კხენსა გაჰქუსლა, მიეჩარება ერთგული,
ესმის ხმა ზამბეულ აკისა¹⁾) და უწუხს ექიმს გლახ-გული,
აგრე ლაშქარიც გამოჩნდა, მებრძოლი, მტერთან შე-
რთული,
ნუგეში არა მიაქცეს-რა, ამაზედა სწუხს ბელ-კრული!..

¹⁾ ზამბეულაკი — მეტის-მეტი დიდი თოფი.

ბატონი შემდგარა სერზედ, სარდლები უშეენებს
მხარსა,
მტერი მძლავრობს და მოიწევს, ლამის შემოქრეცას
გარსა;
აქ ირაკლი ჩოტრიალ და გადაჭედა მთა და ბარსა.
მოუბრუნდა ქართველებსა, გადასძახა თაერის ჯარსა:

„გამიგონეთ გულის ძმებო! ოსმალი შემოკვეესია,
მტერს ზურგი არ დაანახოთ, ეს ხომ ჯაბანთა ¹⁾ წესია,
დღეს გვაქვს სიკვდილის ლხინია, გვინახავს უარესია,
ყით ჯულ-და-ჯულ, მაგათთვის ჩეენ. ხმალი გაგდი-
ლესია!..

რომ დაემარცხეთ, რა იქნება?— ეერ მიუვალთ
ჩეენსა ქალებს,
პირშეები, შერცხენილნი, სად გაეახელთ მაშინ
თევალებს?..
ქართველის ქალი, მართლად მწყრალი, ისევ ჩეენზედ
ივალალებს ²⁾
სჯობს ამოეწყდეთ, ვაწეწინოთ ჩეენზედ თმანი, იშ
მალალებს! ³⁾
გაესწყდეთ, ძმებო, სჯულისათვის, მამულისთვის
სისხლი ესთხიოთ ⁴⁾,

¹⁾ ჯაბანი—მხდალი, მოშიშარი.

²⁾ ივალალებს—იგლოვს, იმწუხარებს.

³⁾ მალალი—სათუთი, დამწვარი.

⁴⁾ დათხევა—დაღვრა.

შეტწეთ ჩეენის სიმართლისთვის, —მაღლით ღვერთი
მოვიწვიოთ,
ვეპნეთ მტერსა, დაერჩინეთ, დავიურიანოთ, ხმლითა
ესლიოთ,
მეც თქეენში ვარ, თოფი მყარით, თუ სისუსტე შე-
მამწნიოთ!..

გამიგონეთ, გულას ძმებო! მოისმინეთ ჩემი აჯა,
ეკეთერნით მაგ ბილწებსა, გაამხნევეთ თქეენი მაჯა,
მამულისთვის დახოცილთა, ღვერთმა ნეფარება ჰაჯა,
აბა, ძმებო, კაი მაგათ!... ღვერთმა თქეენს მკლავს
გაუმარჯვა!..“

— „გავსწყდეთ! — შესძახეს ჯარშია — ვეპნეთ ოს-
მალს დაღალულსა,
დაერჩინეთ — იძახიან — თუ გვხედავენ დაძალულსა?..
„დედა შეერთოს ცოლადა“, ეინც უღალატოს მამუ-
ლსა!
ეინც არ იბრძოლოს ვაჟ-კაცად, — ლაჩარსა ჰევანდეს
მალულსა!..“

„დაერჩინეთ! გაეწყდეთ, გაეწყდეთ!..“ და შეიძრა
ისევ ჯარი...
ეინ ლექს ეცა, ეინ ოსმალოს, ეინ ეის დასცა თავ-
ში ზარი? ²⁾
ეინ მტრის ბრძოლით მაძლარია, ეინ არ არის სის-
ხლით მტკბარი?..
მეფე-კი ერთს შესკერია, ამის ფაქტი იქით არის...

1) ზარი — შიში.

ის ყოფილა ლეკი ვინმე, ნაქები მთელს დალსტანშა,
კოხტა ბელადს ეძახიან, არ ინძრევა ცხენზედ ტანში,
ქართვლის ჯარი შეაყენა, მრისხანეობს, ჰყავს ყო-
უბანში,
და იძახის: „ირაკლი-ხან! გამობძანდი!..“ დაპკრა ტა-
ში...“

აქ იყანე ექიმბაში მოიჭრა, და ძლიერდა ქშენა,
პასუხს ამბობს გიორგისას, აღარ უჭრის საწყალს ენა,
მაგრამ მეუფე უურს არ უკლებს, დრო არა აქეს იმოდენა,
თვალი დარჩა კოხტაზედა, იყურება იმისკენა.

მოაჯდა ცხენსა, გადიჭრა, ეკარელვა მკეირცხლი¹⁾
და მალი,

შეიდი ხეესური თან ახლდა, ეს იყო ირაკლის ძალი,
მიიღარდა კოხტა ბელადსა, მეზეოთ დასუა თაეს ხმალი,
შუა გაპო, მაგრამა, მკედარი ცხენზედ ჯდა საწყალი!

დაპკივლა: „კაი ამათა! არ იქა წუნკალაებსა!
ერნა ხართ ჩემი მოყმენი, მოეუინენით კლდეებსა,
არ წაგივიღნენ ლაჩარნი არ შეეფარნენ ტყეებსა!...“
ეკეთნენ²⁾ გმირნი ქართველნი, მტერს უბნელებ-
ლენენ დლეებსა!

აქ უყურეთ ოსმალ-ლეკსა დაერია ქართლის ჯარი,
წასწევენ და წამოსწევენ, პანტასავით ცეივა მკედარი,

¹⁾ მკეირცხლი—სწრაფი, მარდი.

²⁾ ეკეთნენ—დანასავით ეცნენ.

ხმლები ელავს, კიფინაა, აგრე მოდის სისხლის ღვარი,
ზამბულაკიც მკვახეთ მოქუჩს: ხმას იძლევა მთა და
ბარი!..

დაეით სარდალი მტერს ჰყაფავს, დიდგვარი ორ-
ბელიანი,

ბარათაშეილი ზაალი ლომბულობს ეს პირ წყლიანი,
სახელოვანობს სოლომონ, ის თარხნიშეილი სეიანი 1)
დემურაშეილი დაეითა ტრიალებს ხმალ-სისხლიანი!..

„კოხიო ბობლიაშეილი,—აქებენ:—რაებს შვრებაო?
—გამგელებულა ეს თუში 2) წინ ეერ ეინ დაუდგებაო;
ნაკუდა ქუიძესშეილი, რა კანჯარივით ხტებაო,—
შეილი დაკაფა ხმალ-და-ხმალ, რიგი ხანჯალზედ დგე-
ბაო!..“ 3)

იფრინეს მტერი, მისდევენ, ჰხოცევენ, იჭერენ ოს-
მალსა,
თოფის დუგლუგსა წაპკრავენ, არც აკადრებენ მათ
ხმალსა,
მტერი უხილოდ დამხჩეალი, მიაქს და მიაქს მტკრის
წყალსა,
საფლავსაც ნუღარ მოელის, ან ეინ ალირსებს სა-
წყალსა!..

1) სეიანი—მოწყალე.

2) წოვის თემისა.

. 3) მესტვირულ ლექსში არიან მოხსენებულნი ეს თუშები:
კოხიო და ნაკუდა. „კრებული“ 1873 წ. წიგნი VII გვ. 27.

გათავდა ომი ფიტქელი, კარვი და სახელოვნი,
სახელი ყეველამ იშოვა, ვინც იყო აქ გულოვანი,
დაელა იშოვეს, ტყვეც ბევრი, არც ერთი მურჯ
წლოვანი,
ქართველნი მხიარულობენ, ოსმალთა იწყეს გლოვა-
ნი!..

აგერ მობრძანდა გიორგიც და მოულოცა მამასა,
გადაეხვია ირაკლი და ასე უთხრა ამასა:
„მტერს იქ ელოდი, მაგრამა, იქით არ ჰქონდა გზა
მასა,

აქეე დავუხვდი მურდალსა, აქეე გადეუხდი ჭამასა!....“

იმხიარულეს დიდებულთ, საქმე დააწყეს დილისა,
ირაკლი ახლა სხვას ფიქრობს: „მე დრო არა მაქვს
დილისა,
მტერი ბეერი მყავს, არ მინდა გაეხდე იმათი კბილისა,
ვა თუ რამ ჭირი მოპფინონ“, — წასვლა დაესკუნა ტფი-
ლისსა.

VII

ცა მოწმენდილი, ლაშვარდი, ტფილისს დასკერის
მზიანი,
მთაწმინდა სოლოლაკის მთაც, გახურებული კლდიანი,
მეცახვანები ფრთხილობენ, რომ არენ მოსცეს ზანი,
მრკვარი ძღველვარებს, ვერ მორწყა ქალაქი ბალებიანი.

მყუდროებაა ყოველგან, დარაჯნი მაინც ფრთხი-
ლობენ

განჯის კარს ¹⁾ თეალი ადევნონ, დღე-და-ლამ ამას
ცდილობენ;
დილმის-კარს ²⁾ საფრთხე არა სდევს, თუმცა არც აქ
გულგრილობენ;
მჩაეალნი მოქალაქენი ბალებში ზურნით ლხინობენ!..

დედოფუალი დარეჯანი შინ ბრძანდება სასახლეში,
სადილთ-უკან, სამღერალად, ³⁾ ძოწეულსა ⁴⁾ ითელის
ხელში,
მტკეარსა რასმე გადასცერის, ფიქრით ჰურინაეს სა-
მოთხეში,
ჰურინაეს კიდე ირაკლიზე: „სად რას არი, მთა და
კლდეში?..“

ამ დროს ქერივი ბეგთა-ბევრის შემოვიდა, უცებ
სტირსა,
შეიძახა: „დედოფუალო“ და იხოკაეს ⁵⁾ ფრჩხილით
პირსა...
„თუ გაიგე—ხმა გაისმა—ბატონია გასაჭირსა,
რას უზიხარ, აეიყარნეთ, დაეიხიზნოთ ტყისა პირსა!..“

რა ისმინა დედოფუალმა, უცებ ჰეზე წამოვარდა,
შეჰკივლა და შეიკივლა, იცრემლა და გულს იდარდა,

1) ვანჯის კარი—ერევნის მხრიდამ ტფილისის კარები.

2) დილმის კარი—დასავლეთის მხრის კარი ტფილისისა.

3) სამღერალი —სათამაშია, შესაქცევი.

4) ძოწეული —მარჯნისა.

5) ხოკვა —ფხაჭნა.

გაჰკრა ხელი, წამს წულები გაიძრო, კარს გამოვარდა,
სიონისკენ მიაშურა, ხალხს მოჰყინა ვლოვის ფა-
რდა!..

ვაჟ-კაცი ქუდებ მოხდილნი, დედები ფეხ შიშეე-
ლები,
მიღიან ღვთის-მშობლის წინა, მაღლა უპყრიათ ხე-
ლები,
ევედრებიან ღვთის-დედას, ჭირნი აცილოს ძნელები,
მღვდელნი პარაკლისს იხდიან, ცრემლნი ჩამოსდით
მწველები!..

უეელამ დაკეტა დუქნები, აიგსო მთლად ეკულესია,
გამოასეენეს ქუჩაში ხატები, როგორც წესია,
ხალხი ქვითინებს გულითა, ლალადებს მათი მწყემსია!..
ამ დროს იკიელა ვიღაცამ „ოსმალი შემოგვესია!...“
ერთი იძახის: „ეინ სცრუობს? — ეგ ქართველები
არიან,

ოსმალოს ტანისამოსით მორთულან, მოუხარიანთ,
ოსმალოს მკედრებიც წყალს მოაქეს, მათი მზიდავი
მტკვარია.—
ხალხს ეინ აშინებს? ეინ ბრიყეობს? — აბა რა სახუ-
მირია?!.“

ამ დროს, მართლა, იქ მობრძანდა თეით ირაკლი
გმირთა-გმირი,
თან ახლავან თავადები, მოუმკიათ დიდი ჭირი,

ხატს ემთხვეონენ სულ ყველანი, ხალხი იქ სდგა ანა-
ტირი,

მერე მეფემ დედოფალსა გადუკაცნა გული, პირი!..

შეიქმნა ხალხში სიამე, ხალხი ირის მხიარული!..
გამარჯვების ხმა გაისმა, გაუმრთელდა ყველას წყლული,
ყველას ტუჩედ ღიმი უქრის, არეინ მოჩანს დაჩა-
გრული,

მადლობაა—ღეთის წინაშე, სიხარული—ყველგან
სრული!..

მეფე მობრძანდა სასახლეს, ჯერ არ ეკრა, ვეონებ,
ბინდსა,

პატრულუაგი ¹⁾ დაამზადა, ელჩებს ჰეზაენის ექესს, თუ
შეიდსა,
ასპინძაზედ გამარჯვებას რუსეთში სწერს, აღარ რიდსა,
იქ ნაშავარს ტყვეებს ჰპედაეს, რომ მიართოს მეფას
დიდსა.

მეორე დღეს სასახლეში გამარჯვების სადილია,
ფიდებულნი, სოედაგარნი, იქ არიან, ხადილია, ²⁾
ბეერი წყალობა გაიცა—ქართველთ მეფის წადილია,
კიდევ ბეერს და ბეერს ჰპირდება,—ბატონისგან ქა-
დილია.—

შეიქნა ლხინი, მეჯლიში, ყანწის და ჯამის ტრიალი,
ჭიქების ტყორცნა, ლილინი, გალობა თასთა წკრიალი,

¹⁾ პატრულუაგი—მეფისაგან მეფესთან მინაწერი.

²⁾ ხადილი—მხიარულება.

შეზარხოშებულთ ვაჟ-კაცთა—სიმღერა, კულის კრი-
ალი!

გარეთ ზურნა, ბუკ-ნალარა, დაფ-დაფი, ხალხის გრი-
ალი!..

მეფე აღგა, დაილოცა, სიტყვა არ ჰსურს გააგრძე-
ლოს,

გამარჯვება ყველას უძღვნა, ყველასთვის ჰსურს: ისა-
ხელოს..

აქ სარიდალმა საესე სტაქნით დაიძახა: „ადლეგძელოს!..“

გაუმარჯოს ირაკლისა!.. გაუმარჯოს საქართველოს!..“

ხალხმა ერთობ შემოსძახა: „ადლეგძელოს! ადლე-
გრძელოს!

გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

ღმერთმა ხელი მიუმართოს!...“



ჭ ა მ თ ა რ ი

(კუმაშვილის მოგონება)

 აშობაოდ დაგვითხოვენ, დავისცენოთ ცოტა
ჩევნა..
გასწი, ბიჭო, სოფლისაკენ, გასწი, ბიჭო ში-
ნათკენა!..
იქ, ახალს წელს, დედ-მამასთან, შევეგებოთ სიხარუ-
ლით,
და ნაშობევს ახალ სწავლას შეუდგებით უფრო გუ-
ლით..

ამ ტკბილ ფიქრში გავიჩედე ფანჯრიდამა, მეცა
ელდა:
დღე იყო და მზე არა ჩნდა: ჩამობნელდა, ჩამობნელდა!
ცა, ხმელეთი, დაგვილონდა, ლეგა ლრუბლით დაბუ-
რულა,
არცა წეიშ და არც ქარი ქრის, დილა ბინდად მი-
წურულა;

აგერ-აგერ თეთრი ფერფლიც ნაზად, წყნარად, ცვი-
ვა, ცვივა,
ჰაერში კი სითბო არი, არა ციფა, არა ციფა!
თოველი მოდის... აგერ თოველი ამიჭრელდა, ამებლა-
რდნა,

მოუქშირა, მოუქშირა, წამობარდნა, წამობარდნა...
ეხედავ, ეხედავ, დაგვიზამთრდა, მომაგონდა მე ზამთარი.

მომაგონდა პაწიობა, მომაგონდა მე სახლკარი;
მახსოვს, როცა ბალლი ვიყავ, მიხაროდა თოველის
მოსვლა,
თოველის გუნდის გაკეთება, სროლა, თოველში ვორ-
ვა, მოსერა.
შეილდ-ისარით შაშესა ესდევდით, ჩიტს უდგამდით
აკანათსა,

ლასტს უუგებდით ბეღურაებს, უერ მხედავდნენ
მუხანათსა,
შევებმოდი მე ციგაში და ზედ მიჯდ გოგიელა,
გადაბრუნდის ჩენი ციგა,—კოტრიელა, კოტრიელა..
ბიჭები თავს შევიყრიდით, ეხტოდით, ვჭიდაობდით
უველა,

სან ერთი ძირს, სან მეორე,—ჰერი ბიჭო, კოტრიე-
ლა!..

დალალულნი, გათოშეილნი, მოედიოდით ღამე შინა,
მაგრამ ყინვამ და სიცივემ ვერც ერთი ვერ შეგდაშინა...
მეორე დღეს ყინულზედა ეცურაობდით ნელა-ნელა...
უკან კოპი, შუბლზედ კოპი, კოტრიელა, კოტრიე-
ლა!..



` დედა ენა


 ვთისგან გაჩნილს ყოველს სულიერს,
 ორ-ფეხს, თუ ოთხ-ფეხს, სუსტსა, თუ ძლიერს,
 მცურავს, თუ მფრინველს, მღილსა მიწიერს,
 ფუმფულას, თუ მწერს, მძრომსა ბიწიერს,
 მის-მისდა გვარად ებოძა სმენა,
 ებოძა ღეთისგან მათ მათი ენა.
 რომელი როგორ ხმარობს ენასა,
 როგორ გვამხილებს თეისსა ლხენასა,
 ან მწუხარებას, ჭირს და წყენასა,
 ვაებას, ჩივილს, გულის ტკენასა,—
 გამგებელია ამისი ზენა,
 ვინც გვიწყალობა ჩევნ დედა-ენა...
 ეს ვიცით მხოლოდ, რომ ღეთის ნებასა
 ვინც კი გადაეა,—შეპედეს ენებასა...
 ვერც ვუღალატებთ ჩევნ ბუნებასა,
 მისსა კანონსა, განჩინებასა...
 მაშ რას გარგია იმისი წყენა,
 რომელმანც მოგეცა ჩევნ დედა-ენა?...
 მტრედი ვერ შესძლებს კატის ჩხავილსა,
 ბულბული—ყრიყინს, თევზი—კნავილსა,
 კრავი უმანკო—მელის ხავილსა,
 გერიტი—ჭიხვინსა, ბუზი —ბლავილსა!...
 ამ წესსა ეხედავთ ღეთიურსა ჩევნა,
 აქ სჩანს ბუნება და დედა-ენა!...

მიყვარს მე ენა ჩემის შშობლისა,
რომლითაც „ნანას“ მეტყოდა ისა,
ალერსს მაგონქბს დედისას ტკბილსა,
ჩემის ტოლებას მღერა-ელიოლსა!...
ენით ეცოცხალეარ, მით მიყვარს ლხენა,
მიყვარს სამშობლოს მე დედა-ენა!

ნუ გრუქენის, ძმაო, როცა გაქეს წყენა,
შშობელს ენაზედ მოთქმა, ცრემლი დენა...
აკვანს და საფლავს ნუ ჰყარგავ შენა,
თორებ დაგწყევლის შენ უ დედა-ენა!...
ენით ეცოცხალეარ, მით მიყვარს ლხენა,
მიყვარს სამშობლოს მე ტკბილი ენა!



ც ი ე ბ ა

 ასადა სჩანს ნატაშა: სად იქნება წყეული?
ამბობენ აციებსო, სალდაცა წევს სნეული....
ეყეძიე და ეიპოვე, დავარაწკუნე ზარი,
ლელა-ბერმა გამიღო სხევისთვის დახშული კარი...
„შეველ და რა მომესმა?—თავში დამეცა ზარი—
ფარდას უკან ჩხაოდა უსუსური ბალანა!...
(ამ ჩხავილმა კინალამ ხალხა ააყაყანა..)
მოვიკითხე ნატაშა, მიპასუხა წყნარ-წყნარა:

„ცხრა თვეა სულ მაციებს—სიცოცხლე გამიმწარა,
ვერაფრით ვერ გადუურჩი: ჩამაციედა ციება“.
—აქ ცუდი ნიშნები ჩანს,—აღარ უნდა ძიება!..

არსადა ჩანს გიორგი: სად იქნება წყეული?
ამბობენ აციებსო, სადლაცა წევს სწეული...
ბოლოს შევხდი ქუჩაში: ჩამომდნარა, გმხდარა,
სახე გაჰყეითლებია, ან წელში რამ გახარა?
ველარც დადის რიგზედა, ფეხებს ძლიერდა იცვლისა,
ლეინოც თურმე არ ესმის: არც თეთრის არც, წითლისა..
სიყვითლის მიზეზია—სიღარიბე სისხლისა.
მოეიკითხე გიორგი, მიპასუხა წყნარ-წყნარა:
„ლამის მოვკედე, მაციებს, სიცოცხლე გამიმწარა,
ვერაფრით ვერ გადუურჩი: ჩამაციედა ციება...“
—აქ ცუდი ნიშნები ჩანს,—აღარ უნდა ძიება!..

მ ე რ ც ხ ა ლ ი



ს რა ჩიტი მოფრენილა, საიდგანა სადაური,
თეთრ-გულა და ყელ-წითელა, შავ-ზურგა და
უცნაური.
—ეიცნაბ, ეიცნობ მაგ შავ-თევალას, ზამთარშია ინ-
დაური,
ახლა ს ტუმრად ჩეენ გეეწეია, ზაფხულშია აქაური.

ეგ სირი ხომ მერტხალია, ჭია-ლუს დიდი მტერი,
ბუზებს იკერს კამარაში, არ წაუა აჩხად მწერი.
უმანკო და ტურთა, ნაზი, სულ არ არის დასაჭერი,
შაგს უნდა უთავაზოთ პუდისათეის სახლის ჭირი.
დახე ცაში, როგორ მარდად ნაეარდობს ჭ თით-
ქის ცურავს,
ხან მიწის პირს, ისარივით, მიურინავს და ფრთასა
სწურავს,
ჭიკიკობს და შეექცევა, საქმეს არ იქს დასამდურავს,
თიხას ზიდავს ნისკარტითა და ბუმბულით ბუდეს
ჰბურავს...
აგერ ვხედავ შემომჯდარა... რას ქლურტულებ
ნეტა, ჩიტო?...
„ბერი ცხონდა, ბერი ცხონდა—აშბობს—ყმაწეილები
ქლიტო!“
—რისთეის,—რაღვან ბუდეს უშლით... აღარ დაუ-
შალო, ტიტო!...

ა ღ ღ ღ ღ ა

 უალამე გადაეიდა, ასტყდა, ასტყდა ზარის რევა,
დიდი ზარიც ბოხს ხმას აძლევს, ზარბაზანმაც
დაიკექა!..
ალეგ, გიგო, ალე, ალე! ხალხი მიდის საყდრისკენა,
ალე ჩქარა, ტანთ ჩავიცოთ, დაეგიანდით მარტო ჩვენა..

ყველა ახლით მოკაზმულა, სელთ უჭირავთ კელა-
პტრები; ადე, ბიჭო, ტანთ ჩაიცეი, მაგ საბანში რაღას ძერები?!

აგერ ზარებს მოუხშირეს, ხალხი იყრის მეტანის,
საყდრები სულ ლაპლაპებენ, გარს უელიან ლიტო-
ნია!..

მოეიკაზმეთ და გაესწიეთ, ეკლესია მხიარულობს,
ყველას ტუჩჩედ ლიმი უქრის, მღვდელი გალობს ჰ-
ლოცულობს!..

აგერ მღვდელმა შეიძახა: „ქრისტე აღდგა!“ და ჩვენც
ცქვიტად

ეუპასუხეთ სუსყველამა: „ჰეშმარიტად! ჰეშმარიტად!..“
ქრისტე აღდგა! — მიყვარს ეს დღე — მიყვარს, მი-
ყვარს, მიყვარს დიდად;

მოდი, გიგო, გადაგოლნო! „ქრისტე აღდგა!“ — ჰეშ-
ჰეშმარიტად!..“

მოდი, კვერცხი კვერცხსა დავერათ, მაგრა იყავ და
კირკიტად..

„ქრისტე აღდგა! ქრისტე აღდგა!“ — „ჰეშმარიტად!
ჰეშმარიტად!..“

ბ ზ ო ბ ა

 ზობა არის, ბზობა არის! წამო, ვანო, საყდა-
რშია,
 იქ ლაპლაპებს კელაპტრები, ნათელა და კაშკა-
შია...

ქმოგვცემენ ბზის ტოტებსა, ღავითვალოთ ზნჩილები,
